სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ მაზანაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	**87**	**100**

სახელი გვარი

თარიღი: 04.07.2025წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით დაწყებულ, სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - თამარ მაზანაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით, სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე დაიწყო კონკურსი მოსამართლეების შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2025 წლის 25 მარტის №1/32 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში დარეგისტრირდა 7 პირი, მათ შორის - თამარ მაზანაშვილი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35^1 მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 (ოთხი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება

უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭებისა და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

<u>I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:</u>

სახელი, გვარი: **თამარ მაზანაშვილი**

განათლება: **უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი (ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017 წელი)**
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **9 წელი**

<u>II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, თამარ მაზანაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*

1. **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა (სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში) და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე

მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასებისას – აგრეთვე სიმართლისმოყვარეობა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, პასუხისმგებლობის გრძნობას, შრომისმოყვარეობას, მიზანდასახულობას, პრინციპულობას, კომპეტენტურობასა და ანალიტიკური აზროვნების უნარს. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება.უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში კანდიდატს არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი. კანდიდატის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილი არ არის საჯარიმო ქვითარი.

კანდიდატის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე

მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასებისას – აგრეთვე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა.

ინფორმაცია, რაც კანდიდატის ზემოაღნიშნულ უნარებს დააყენებს ეჭვქვეშ, წარმოდგენილი არ არის, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

3. **პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით პირის** შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში თამარ მაზანაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

ყოველივე აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები და რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

ყველა ზემოაღნიშნული მახასიათებლის შეფასების საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, თამარ მაზანაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
4. *პროფესიული თვისებები;*
5. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
6. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სამოქალაქო სამართალში თამარ მაზანაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას.

ადმინისტრაციულ სამართალში თამარ მაზანაშვილს აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

სისხლის სამართალში თამარ მაზანაშვილის ცოდნა ასევე შეფასებულია დადებითად და შეიცავს მითითებას სამართლებრივი ანალიზის კარგ უნარზე.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა ვრცლად და დასაბუთებულად გასცა პასუხი სისხლის სამართლის ცალკეული მიმართულებით დასმულ შეკითხვებზე, მათ შორის სისხლის სამართლის პრინციპებზე; სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის ელემენტების შემოტანის შესაძლებლობასა და საჭიროებაზე. იმსჯელა მტკიცებულებათა დაშვების სტანდარტის დაცვის მნიშვნელობაზე, მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საქმეების განხილვის პროცესში.

კანდიდატმა ამომწურავად ისაუბრა სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, უზრუნველყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიმოხილვა.

ასევე სწორი იყო კანდიდატის პასუხი გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში დასმულ კითხვაზე, სადაც კანდიდატმა მიმოიხილა აღნიშნული უფლების შეზღუდვის წინაპირობები.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებასა და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების ერთობლივი ანალიზი მაძლევს საფუძველს, მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო 22 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატის გამოცდილება იურიდიულ სფეროში შეადგენს 9 წელს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მითითებით, კანდიდატს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 21 ქულით.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

გასაუბრების პროცესში კანდიდატი აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მითითებით, კანდიდატის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულია, თუმცა, როგორც ამავე საბჭოს შეფასებაშია აღნიშნული, კანდიდატი საჭიროებს წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო 17 ქულით.

4. პროფესიული თვისებების მახასიათებელი

კანდიდატი სარგებლობს კარგი პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, რაც მნიშვნელოვანია სამოსამართლეო საქმიანობის განხორციელებისთვის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **14 ქულით.**

5. **აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი**

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ ღონისძიებებში:

- 25.02.2021 წელი - ონლაინსემინარი სასამართლოს დამოუკიდებლობაზე - DoJ
- 22.03.2021 - 25.03.2021 წელი დისტანციური ტრენინგი - "კიბერდანაშაული და ელექტრონული მტკიცებულებები" - EU4JUSTICE
- 31.03.2021 წელი - ტრენინგი - "მსჯავრდებულთა რესოციალიზაციარეაბილიტაციის ხელშემწყობი სასამართლოები აშშ-ში" – DoJ
- 07.04.2021 წელი - ტრენინგი - "ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე" - DoJ
- 02.05.2021 წელი - ტრენინგი - "აღდგენითი მართლმსაჯულება" - EU4JUSTICE
- 03.01.2023 – 30.03. 2023 წელი - საგრანტო პროექტი „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება“ - თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოება

- 2015-2018 წლებში იყო იურიდიული ფაკულტეტის მდივანი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 2018-2020 წლებში - სხდომის მდივანი - გორის რაიონული სასამართლო
- 2020 – 2023 წლებში - სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი - თბილისის საქალაქო სასამართლო
- 2023 – 2025 წკლები - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო **8 ქულით.**

6. **პროფესიული აქტივობის მახასიათებელი**
   პედაგოგიურ საქმიანობა:

2025 წლის გაზაფხულის სემესტრიდან თამარ მაზანაშვილი არის მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სემინარის ხელმძღვანელი სისხლის სამართლის მიმართულებით).

გამოქვეყნებული შრომები (სამეცნიერო სტატია/ მონოგრაფია/ წიგნი):

- „ქალთა ადრეული და იძულებითი ქორწინება“, „მაია ივანიძე 50“, საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რედაქტორი: თ. მახარობლიძე, თბილისი, 2017 წელი;
- „ფემიციდი, როგორც გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობა“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ №3, 2018, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სარედაქციო საბჭო: მ. ივანიძე, ნ. გოგნიაშვილი, თ. მახარობლიძე, მ. მესხი, თბილისი, 2018 წელი;
- „ოჯახში ძალადობის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი (შედარებით სამართლებრივი ანალიზი)“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ №5, 2022, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სარედაქციო საბჭო: მ. ივანიძე, ნ. გოგნიაშვილი, თ. მახარობლიძე, მ. მესხი, თბილისი, 2022 წელი.

არის სარედაქციო საბჭოს წევრი - სისხლის სამართლის ჟურნალი (სტუდენტთა), თსუ იურიდიული ფაკულტეტი, 2019 წელი, სისხლის სამართლის მიმართულების პერიოდული გამოცემა.

წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაცია/გადაწყვეტილება:

- „ოჯახში ძალადობის შედარებით სამართლებრივი ანალიზი“ (სასემინარო ნაშრომი, თსუ, 2020 წელი);
- „ადევნების სისხლისსამართლებრივი ასპექტები“ (სადოქტორო სემინარი, თსუ, 2021-2022 სასწავლო წელი).

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო 5 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ 87 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 27.06. 2025წ.